საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-08/58

ქ. ბათუმი 07 აგვისტო **, 2017 წ.**

2017-2018 სასწავლო წლიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N03 გადაწყვეტილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთავლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთავლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 07 აგვისტოს N02-01/5 ბრძანების, „ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტების შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ რექტორის 2017 წლის 7 აგვისტოს N02-02/35 ბრძანების და ბსუ-ს ფაკუტეტების დეკანების 2017 წლის 7 აგვისტოს სამსახურებრივი ბარათების (MES 11700916800, MES 11700913326, MES 11700916099, MES 31700915876, MES 71700913827, MES 71700916923, MES 61700916878, MES 01700916872; MES 51700916886; MES 01700916872) საფუძველზე

ვბრძანებ:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადდეს კონკურსი დანართი 1–ის მიხედვით.
2. კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების შესახებ ინფორმაცია (დანართი 2) გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (კონკურსების ველში).
3. **საკონკურსო ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:**
   3.1. საკონკურსო განცხადების (ფორმა - დანართი 3), კონკურსანტის ანკეტის (ფორმა - დანართი 4) და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა - 2017 წლის 7 სექტემბრიდან 9 სექტემბრის ჩათვლით, 10 საათიდან 16 საათამდე, ბსუ-ს საპროცედურო კომისიაში შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32, პირველი კორპუსი, ოთახი N41 (მატერიალური სახით წარმოდგენამდე კონკურსანტებმა საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ელექტრონულად, შემდეგ მისამართზე - bsukonkursi2017@bsu.edu.ge);
   3.2. კონკურსი ჩატარდეს 2017 წლის 9 სექტემბრიდან 11 სექტემბრის ჩათვლით;
   3.3. საკონკურსო კომისიების შემაჯამებელი ოქმები გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 2017 წლის 12 სექტემბრისა.
4. კონკურსში გამარჯვებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდეს 2017 წლის 19 სექტემბრიდან.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 07- აგვისტოს N01-08/58 ბრძანების

დანართი 1

2017 წლის 18 სექტემბრიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაკანტური აკადემიური თანამდებობები, რომლებზეც ცხადდება კონკურსი

1. **იურიდიული ფაკულტეტი - 6 ვაკანტური თანამდებობა**

დარგობრივი დეპარტამენტი	მიმართულება/დარგი	ვაკანტური საშტატო ერთეულის დასახელება	ვაკანტური საკონკურსო საშტატო ერთეულის რაოდენობა
სამართლის დეპარტამენტი	სისხლის სამართალი	ასისტენტი	3
	საჯარო სამართალი	ასისტენტი	1
	კერძო სამართალი	ასისტენტი	1
	საერთაშორისო სამართალი	ასისტენტი	1

2. **განათლების ფაკულტეტი-11 ვაკანტური თანამდებობა**

დარგობრივი დეპარტამენტი	მიმართულება/დარგი	ვაკანტური საშტატო ერთეულის დასახელება	ვაკანტური საკონკურსო საშტატო ერთეულის რაოდენობა
პედაგოგიურ მეცნიერებათა დეპარტამენტი	განათლება	ასისტენტ-პროფესორი	6
ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი	უცხო ენა (ინგლისური)	ასისტენტ-პროფესორი	3
	უცხო ენა (რუსული)	ასისტენტ-პროფესორი	1
	უცხო ენა (ფრანგული)	ასისტენტ-პროფესორი	1

3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 14 ვაკანტური თანამდებობა

დარგობრივი დეპარტამენტი	მიმართულება/დარგი	ვაკანტური საშტატო ერთეულის დასახელება	ვაკანტური საკონკურსო საშტატო ერთეულის რაოდენობა
ფილოსოფიის დეპარტამენტი	ფილოსოფია	ასისტენტ-პროფესორი	1
სლავისტიკის დეპარტამენტი	რუსული ფილოლოგია	ასისტენტ-პროფესორი	1
აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი	თურქული ფილოლოგია	ასისტენტ-პროფესორი	1
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი	ქართული ფილოლოგია	ასისტენტ-პროფესორი	2
	ლინგვისტიკა	ასისტენტ-პროფესორი	1
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი	ისტორია	ასისტენტ-პროფესორი	1
ევროპეისტიკის დეპარტამენტი	ინგლისური ფილოლოგია	ასისტენტ-პროფესორი	6
	შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა/ლიტერატურის შედარებითი კვლევები	ასისტენტ-პროფესორი	1

4. ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი- 6 ვაკანტური თანამდებობა

დარგობრივი დეპარტამენტი	მიმართულება/დარგი	ვაკანტური საშტატო ერთეულის დასახელება	ვაკანტური საკონკურსო საშტატო ერთეულის რაოდენობა
მათემატიკის დეპარტამენტი	მათემატიკა	ასისტენტ-პროფესორი ასოცირებული პროფესორი	3 1
კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი	კომპიუტინგი	ასისტენტ-პროფესორი	2

5. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი- 6 ვაკანტური თანამდებობა

დარგობრივი დეპარტამენტი	მიმართულება/დარგი	ვაკანტური საშტატო ერთეულის დასახელება	ვაკანტური საკონკურსო საშტატო ერთეულის რაოდენობა
სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი	ფსიქოლოგია	ასისტენტ-პროფესორი ასისტენტი	1 2
საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტი	საერთაშორისო ურთიერთობები; ევროპისმცოდნეობა	ასისტენტ-პროფესორი ასისტენტ-პროფესორი	2 1

6. **ტურიზმის ფაკულტეტი- 6 ვაკანტური თანამდებობა**

დარგობრივი დეპარტამენტი	მიმართულება/დარგი	ვაკანტური საშტატო ერთეულის დასახელება	ვაკანტური საკონკურსო საშტატო ერთეულის რაოდენობა
ტურიზმის დეპარტამენტი	ტურიზმი	ასისტენტ-პროფესორი	3
მასპინძლობის მენეჯმენტის დეპარტამენტი	ტურიზმი	ასისტენტ-პროფესორი	3

7. **ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი - 9 ვაკანტური თანამდებობა**

დარგობრივი დეპარტამენტი	მიმართულება/დარგი	ვაკანტური საშტატო ერთეულის დასახელება	ვაკანტური საკონკურსო საშტატო ერთეულის რაოდენობა
საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის დეპარტამენტი	ფინანსები	ასისტენტ-პროფესორი	3
საბუღალტრო აღრიცხვის, აუდიტისა და საგანდასახდო საქმის დეპარტამენტი	საბუღალტრო აღრიცხვა; სტატისტიკა	ასისტენტ-პროფესორი	2
ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის და მარკეტინგის დეპარტამენტი	მენეჯმენტი	ასისტენტ-პროფესორი	3
	მარკეტინგი	ასისტენტ-პროფესორი	1

8. **ტექნოლოგიური ფაკულტეტი- 13 ვაკანტური თანამდებობა**

დარგობრივი დეპარტამენტი	მიმართულება/დარგი	ვაკანტური საშტატო ერთეულის დასახელება	ვაკანტური საკონკურსო საშტატო ერთეულის რაოდენობა
ინჟინერიისა და მშენებლობის დეპარტამენტი	მშენებლობა; ტელეკომუნიკაცია; ტრანსპორტი	ასისტენტ-პროფესორი	6
ტექნოლოგიებისა და საინჟინრო მენეჯმენტის დეპარტამენტი	სამთო და გეოინჟინერია	ასისტენტ-პროფესორი	2
აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დეპარტამენტი	აგრარული მეცნიერებანი	ასისტენტ-პროფესორი	2
აგროტექნოლოგიისა და აგროინჟინერიის დეპარტამენტი	აგრარული მეცნიერებანი; აგროინჟინერია	ასისტენტ-პროფესორი	3

9. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი- 9 ვაკანტური თანამდებობა**

დარგობრივი დეპარტამენტი	მიმართულება/დარგი	ვაკანტური საშტატო ერთეულის დასახელება	ვაკანტური საკონკურსო საშტატო ერთეულის რაოდენობა
ბიოლოგიის დეპარტამენტი	ბიოლოგია; ეკოლოგია	ასისტენტ-პროფესორი	5
გეოგრაფიის დეპარტამენტი	გეოგრაფია	ასისტენტ-პროფესორი	1
ქიმიის დეპარტამენტი	ქიმია	ასისტენტ-პროფესორი	2
საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მტკიცებითი მედიცინის დეპარტამენტი	ფარმაცია	ასისტენტ-პროფესორი	1

დანართი N2

კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების შესახებ ინფორმაცია

1. გამოცხადდა კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში „ბსუ“) აკადემიური თანამდებობების (ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ პროფესორის და ასისტენტის) 2017 წლის 19 სექტემბრიდან დასაკავებლად;
2. საკონკურსო განცხადება, კონკურსანტის ანკეტა და შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს 2017 წლის 7 სექტემბრიდან 9 სექტემბრის ჩათვლით, 10 საათიდან 16 საათამდე, ბსუ-ს საპროცედურო კომისიაში შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32, პირველი კორპუსი, ოთახი N41 (მატერიალური სახით წარმოდგენამდე კონკურსანტებმა საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ელექტრონულად, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე - bsukonkursi2017@bsu.edu.ge);
3. კონკურსი ჩატარდება 2017 წლის 9 სექტემბრიდან 11 სექტემბრის ჩათვლით;
4. საკონკურსო კომისიების შემაჯამებელი ოქმები არაუგვიანეს 2017 წლის 12 სექტემბრისა გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge).
5. კონკურსში გამარჯვებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდება 2017 წლის 19 სექტემბრიდან;
6. **კონკურსის ძირითადი პირობებია:**

6.1. **ასოცირებული პროფესორის** თანამდებობაზე 5 წლის ვადით აირჩევა დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება და აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის“ კლასიფიკატორის **(შემდეგში „კლასიფიკატორი“)** 2.3, 2.4 (ქართველოლოგიური დარგებისათვის), 2.6 ან 3.3 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ერთ-ერთი ნაშრომი/მონოგრაფია;

ბ) ბოლო 5 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული და გამოქვეყნებულია შესაბამისი თეზისი/თეზისები კლასიფიკატორის 1.3 (ქართველოლოგიური დარგებისათვის) ან 1.4 ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამეცნიერო ღონისძიებაში;

გ) შესაბამისი მიმართულებით მომზადებული აქვს სახელმძღვანელო ან სალექციო კურსი/კურსები;

დ) აქვს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ასისტენტ-პროფესორის/ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება.

6.2. **ასისტენტ-პროფესორის** თანამდებობაზე 4 წლის ვადით აირჩევა დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს კლასიფიკატორის 2.3, 2.4 (ქართველოლოგიური დარგებისათვის), 2.6 ან 3.3 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ერთ-ერთი ნაშრომი/მონოგრაფია;

ბ) ბოლო 5 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული და გამოქვეყნებულია შესაბამისი თეზისი/თეზისები კლასიფიკატორის 1.3 (ქართველოლოგიური დარგებისათვის) ან 1.4 ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამეცნიერო ღონისძიებაში;

გ) შესაბამისი მიმართულებით მომზადებული აქვს ჯგუფში მუშაობის/პრაქტიკულის/ლაბორატორიული სამუშაოს ან სხვა აქტივობის სასწავლო მასალა;

6.3. ასისტენტის თანამდებობაზე 3 წლის ვადით შეიძლება არჩეული იქნეს დოქტორანტი.

7. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა საპროცედურო კომისიაში უნდა წარადგინოს:

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო–პედაგოგიურიმუშაობის დამადასტურებელიდოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვა, დამოწმებული/გაცემული შესაბამისი დაწესებულების მიერ);

გ) საკონკურსო თანამდებობის შესაბამისი მიმართულების სილაბუსი
(სილაბუსები);

დ) ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესით მოთხოვნილი, ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული საკონკურსო თანამდებობის შესაბამისი ერთი სამეცნიერო ნაშრომი (სტატია), რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის სამეცნიერო საქმიანობას - საკონკურსო კომისიის მიერ შეფასებისათვის;

ე) დარგის სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის კონცეფცია აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე (ასისტენტ-პროფესორმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურისთვის, ხოლო ასისტენტმა უნდა წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი);

ვ) შესაბამისი აკადემიური (სამეცნიერო) ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი (უცხო ქვეყნაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ზ) 2 ფოტოსურათი (ზომა 3x4);

თ) განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (წინამდებარე ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად შედგენილი);

ი) კონკურსანტის ანკეტა (წინამდებარე ბრძანების დანართი №4 -ის შესაბამისად შედგენილი).

8. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა საპროცედურო კომისიას უნდა წარუდგინოს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსის (სილაბუსების) შესაბამისი მინიმუმ ერთი სახელმძვანელოს/სალექციო კურსის/რიდერის ელექტრონული ვერსია (იმ ენაზე, რომელ ენაზეც ტარდება ლექცია) და სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის პერიოდში მისი სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტი (დოკუმენტები), ხოლო ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევმა კონკურსანტმა - ჯგუფში

მუშაობის/პრაქტიკულის/ლაბორატორიული სამუშაოს ან სხვა აქტივობის სასწავლო მასალა;

9. 65 წელს მიღწეული პირის კონკურში მონაწილეობის მიზანშეწონილობის საკითხს ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე განიხილავს და გადაწყვეტს ბსუ-ს აკადემიური საბჭო და მიღებული დადგენილება გამოქვეყნდება ბსუ-ს ვებგვერდზე;

10. ბსუ-ს წესდების, ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3 გადაწყვეტილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების და ,,2017-2018 სასწავლო წლიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის ბრძანების გაცნობა შესაძლებელია ბსუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (კონკურსების ველში).

დანართი N3

კონკურსანტის განცხადების ფორმა

.....
.....

..... საკონკურსო კომისიას
მოქალაქე.....
(სახელი, გვარი, მისამართი)

განცხადება

მსურს მონაწილეობა მივიღო საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ბსუ-ს) .....
.....ფაკულტეტის
.....აკადემიური
(მიუთითეთ მხოლოდ ერთი აკადემიური თანამდებობა)

თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში.

ვადასტურებ, რომ გავეცანი და ვეთანხმები ბსუ-ს წესდებას, ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიან წესს და „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებას.

ხელმოწერა:.....
თარიღი:.....
საკონტაქტო ინფორმაცია:
ტელეფონი:
ელ.ფოსტა:

..

დანართი №4

კონკურსანტის ანკეტა

ა) პირადი ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ

გვარი	
სახელი	
მამის სახელი	
დაბადების თარიღი	
მოქალაქეობა	
მისამართი	
ტელეფონი	
ელ.ფოსტა	
ბოლო სამსახურებრივი პოზიცია	

ბ) საკონკურსო პოზიცია

	☐ პროფესორი (უვადო)	☐ პროფესორი (6 წლის ვადით)	☐ ასოცირებული პროფესორი	☐ ასისტენტ პროფესორი	☐ ასისტენტი
ფაკულტეტი (საკონკურსო თანამდებობის სრული დასახელება)					

I. კატეგორია: განათლება, აკადემიური ხარისხი და სამსახურებრივი გამოცდილება

1.1. განათლება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ფაკულტეტი	ჩარიცხვისა და დამთავრების წლები	კვალიფიკაცია

1.2. აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი (PhD/ საკანდიდატო დისერტაციის დაცვა; ჰაბილიტაცია/სადოქტორო დისერტაციის დაცვა)

დისერტაციის დაცვის თარიღი	
დისერტაციის თემა	
მინიჭებული კვალიფიკაცია	
კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი	

1.3. სამსახურებრივი გამოცდილება

თარიღი	დაწესებულების დასახელება და დაკავებული თანამდებობა

1.4. პედაგოგიური სტაჟი

6 წელზე მეტი ☐	6 წელზე ნაკლები ☐

აკრედიტებული/ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სწავლების საფეხური	სასწავლო კურსები

1.5. სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტი/ დოკუმენტები (სავალდებულოა წარმოდგენილი იქნას მონაცემების 2017-2018 სასწავლო წლიდან)

დოკუმენტაცია კონკურსანტის სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის შეფასების შესახებ (გაცემული შესაბამისი უსდ-ს მიერ)

1.6. შეთავსებით მუშაობა

თარიღი	დაწესებულების დასახელება და დაკავებული თანამდებობა

1.7. ინფორმაცია კლინიკური ბაზის შესახებ წარმოდგენილი დანართის სახით მედიცინის მიმართულების კონკურსანტებისათვის, რომელიც შეიცავს:

- თანხმობის წერილს იმ კლინიკური ბაზის/ბაზების ხელმძღვანელისაგან, სადაც უნდაგანხორციელდეს აკადემიური დასამეცნიერო-კვლევითი პროცესი;
- კლინიკური ბაზის/ბაზების ძირითად სტატისტიკურ მონაცემებს;
- კლინიკურ ბაზაზე/ბაზებზე არსებულსასწავლო პროცესისათვის განკუთვნილი სივრცის აღწერილობას და სასწავლო პროცესისათვი სგამოყოფილი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალს.

II. კატეგორია: საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი პედაგოგიური და სასწავლო–მეთოდური საქმიანობა

2.1. პედაგოგიური გამოცდილება

	საერთო პედაგოგიური სტაჟი					
	ბოლო 6 წლის განმავლობაში წაკითხული კურსები	ლექცია	პრაქტიკა/სემინარ	ლაბორატორიული	უმაღლესი სასწავლებლის დასახელება	წელი
N	კურსის დასახელება					
1						
2						
3						

2.2. სასწავლო–მეთოდური საქმიანობა

	სახელმძღვანელო (მათ შორის დამხმარე)
N	სახელმძღვანელოს/სალექციო კურსი/რიდერი/სასწავლო მასალები (არსებობის შემთხვევაში წარმოადგინეთ ელექტრონული სახით კონკურსის გამოცხადების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ელექტრონულ მისამართზე.)
1	
2	

2.3. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა

N	საგანმანათლებლო პროგრამა	ხელმძღვანელობის პერიოდი
1		
2		
3		

2.4. სასწავლო კურსების დასახელება, რომელთა წაკითხვაშეუძლია კონკურსანტს (პრიორიტეტი ენიჭება ბსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის კურსთან მიმართებით წარმოდგენილ ინფორმაციას)

N	კურსის დასახელება	საგანმანათლებლო პროგრამა	ლექცია	პრაქტიკული	ლაბორატორიული	რიგითი
1						
2						
3						

2.5. წარმოდგენილი სილაბუსები (წარმოადგინეთ დანართის სახით)

N	კურსის დასახელება	საგანმანათლებლო პროგრამა	მეცადინეობის ფორმა			
			ლექცია	პრაქტიკული	ლაბორატორიული	რიგითი
1						
2						
3						

2.6. კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები

თარიღი	კურსების/ტრენინგების დასახელება	დიპლომის/სერტიფიკატის ნომერი

III. კატეგორია: სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობა:

3.1. ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის მე-3 მუხლით მოთხოვნილი არაუმეტეს 5 პუბლიკაცია კონკურსანტის შეხედულებისამებრ (ცხრილი შეავსეთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით, დაიწყეთ უახლესი ინფორმაციით)

№	ავტორები ყველა თანაავტორის მითითებით, კონკურსანტის გვარი გამოყოფილი უნდა იქნეს მუქი შრიფტით	ნაშრომის სათაური	ჟურნალის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები.	გამოქვეყნების წელი

3.2. სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (არაუმეტეს 5) კონკურსანტის შეხედულებისამებრ(ცხრილი შეავსეთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით, დაიწყეთ უახლესი ინფორმაციით)

№	ავტორები ყველა თანაავტორის მითითებით; კონკურსანტის გვარი გამოყოფილი უნდა იქნეს მუქი შრიფტით	პუბლიკაციის სახეობა (მონოგრაფია, სტატია რეცენზირებად, საერთაშორისო, უცხოურ, ადგილობრივ ჟურნალში, საკონფერენციო მასალები (Proceedings) და სხვ.)	პუბლიკაციის სათაური, ავტორები, ჟურნალის/ გამომცემლობის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები, პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი (არსებობის შემთხვევაში).	გამოქვეყნების წელი

3.3. პატენტები (გამოგონებები)

№	გაცემის წელი	პატენტის დასახელება	პატენტის გამცემი ორგანიზაცია	პატენტის სარეგისტრაციო ნომერი

3.4. კონკურსანტის მოხსენებები საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზებოლო 6 წლის განმავლობაში

1	თარიღი	
	მოხსენების სათაური	
	კონფერენციის დასახელება	
	ჩატარების ადგილი	
	ელექტრონული მისამართი	
2	თარიღი	
	მოხსენების სათაური	
	კონფერენციის დასახელება	
	ჩატარების ადგილი	
	ელექტრონული მისამართი	

3.5. საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში მონაწილეობა ბოლო 6 წლის განმავლობაში

№	განხორციელ ების წლები	დონორი ორგანიზაცია, პროექტის/ხელშეკრულების №	პროექტის დასახელება	როლი პროექტში

3.6. თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (უცხოეთის უნივერსიტეტებთან/სამეცნიერო ცენტრთან ერთობლივ სასწავლო ან სამეცნიერო პროგრამებში/პროექტებში მონაწილეობა, სტიპენდია/სტაჟირება და სხვ.)

თანამშრომლობის ფორმა	უნივერსიტეტის/სამეცნიერო ცენტრის დასახელება	დაწყებისა და დასრულების თარიღი

3.7. საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული ნაშრომი (ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად)

პუბლიკაციის სახეობა	პუბლიკაციის სათაური, ავტორები, ჟურნალის/გამომცემლობის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები, პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი	გამოქვეყნების წელი

3.8. სამეცნიერო კვლევების კონცეფცია/სამოტივაციო წერილი1(წარმოდგენილი უნდა იყოს დანართის სახით)

IV. კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი)

(ჯილდო, სტიპენდია, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების მხელმძღვანელობა, კომპიუტერთან მუშაობის უნარები, ენების ცოდნა და სხვა პედაგოგიური და სამეცნიერო აქტივობა)

№	აქტივობის დასახელება

ინფორმაციის სისწორეს ვადასტურებ

.....

ხელმოწერა გარკვევით

თარიღი

[1]სამეცნიერო კვლევებისკონცეფციის წარმოდგენა სავალდებულოა მხოლოდ იმ აპლიკანტებისთვის, რომელთაც სურთ პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავება, ასისტენტები წარმოადგენენ სამოტივაციო წერილს.